

იმპერიას

რედაქტორი

ნიკოლოზოვიძე

ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად

და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიმართოთ რედაქციის და წერა-კითხვ. გამყარ. საზოგადოების კანცელარიას ფასი განცხადებისა: ჩვეულბრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—3 კაპ.

„იმპერიას“ ტელეფონი № 227

„იმპერიას“ ტელეფონი № 227

Table with 4 columns: თვე, მან. კ., თვე, მან. კ. containing calendar data for July 1898.

მატიანი მისილი ასული, ალექსანდრე და პავლე მინი... ცნობა განცხადებისა... გარდაცვალების გამოცხადება...

მარხაინი მომხმარებელ საზოგადოების დავის განხილვა... განხილვა მარხაინში აგვისტოს 2 ს...

- საგანის გზის: 1. დავის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება; 2. სხვა-და-სხვა ღონისძიებათა დასახელება...

ბირველი კერძო სამკურნალო ექიმის ნავასარდიანისა (კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ) ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

მოწყობა

მართლმადიდებელ მსოფლიო ეკლესიის ქრისტეს მიერ საუკუნო აღმშენებელი შეიქმნა! ქალაქ ტფილისიდან ჩრდილოეთით ოცის კერძის მხმიდან, სწორედ იმ ადგილს, სადა მდინარე არაგვი ერთგვარად მდინარე მტკვარს...

სიწმიდან და დამსახურებით შეიტყუა იგი თავისს ქაღალდებზედ... გარდაცვალების გამოცხადება... სიწმიდან და დამსახურებით შეიტყუა იგი თავისს ქაღალდებზედ...

მშვენიერი და მასწავლებელი მართლმადიდებლის ეკლესიისა... მშვენიერი და მასწავლებელი მართლმადიდებლის ეკლესიისა...

მთავრობის ბანკარაზულეგანი უმდელსა სახელდებულა ბრძანება... მთავრობის ბანკარაზულეგანი უმდელსა სახელდებულა ბრძანება...

ში, სადაც მოგროვდება ტფილისის სამღვდლოება ეკლესიების ძველის ხატებით. წირვის შემდეგ სამღვდლოება ქაშვეთის ეკლესიიდან...

მომავალ აგვისტოს ტფილისში ჩამოვა მიწათ მოქმედებისა და სახლ-მწიფო ქონებათა სამინისტროს დეპარტამენტის დირექტორი ბ.ნი ხო-

საერთო განათლების სამინისტროს სამრეწველო სასწავლებლების დეპარტამენტის განყოფილების მმართველი ბ.ნი ანოპოვი...

ტფილისის სათავადაზნაურო ბანკის რწმუნებულმა ნაიცი ვეკილისთან შემწეობა თურქესტანში...

გუშინ სავაჭრო-სამხრეთნო პოლიციის უფროსმა ზედამხედველმა ქალაქის მკურნალ კასიმოვთან ერთად...

სამხედრო ინჟინერების გამგეობის უფროსმა გუშინ ტფილისის პოლიციის უფროსს აცნობა...

ახალი ამბავი

მისი ყოველად უსამღვდლოდობა გორის ეპისკოპოსი ლეონიდი ხვალ, 1 აგვისტოს, მწირველი იქნება ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში...



* მთ იმპერატორებით უდიდეს ბუღალსობათა კარის ლეიბ-აკუშორი (ბებია-ეკიმი), პროფესორი ბ. ნი. ოტტი ამ დღეებში ტფლისის ჩამოვა.

* ქარხნების უფროსი ინსპექტორი პ. ა. პეკოვი გუშინ კავკასის გზით ტფლისის ჩამოვიდა.

* გუშინ ტფლისიდან ბაქოს გაგზავნეს ბეთალი ბ. ნი ჩევისი, რადგანაც ბაქოს გუბერნიაში საქონლის ქირი გაჩენილა და იქაურ ბეთალთა რიცხვი მცირეა.

* ქალაქის გამგეობას რამდენიმე ფირმამ გამოუცხადა თავისი სურვილი, ჩვენ ვიკისრებთ ტფლისის ელექტრონით განათებას იმ პირობით, რომლითაც თქვენა გსურთო.

* ტფლისის საგუბერნიო ბეთალთა ნ. ნ. კრიდნერმა ამ დღეებში დააჯავლიერა საყასბო და იქ საგანგებოდ გაყვანილი მილის წყალი. თუმცა წელს შარშანდელზედ მეტი სისუფთავეა საყასბოში, მაგრამ მაინც ბ. ნი. კრიდნერმა ჰპოვა, რომ სისუფთავეს კიდევ უფრო მეტი ყურადღება უნდა მიექცეს და დაკლულს საქონელს ასო-ასოთ არ სჭირდნენ ქუქუჩიანს იატაკზედ, არამედ დაკლული საქონელი უნდა ჩამოჰკიდოთ და ისე დასჭრაოთ. ამას გარდა, ბ. ნი. კრიდნერმა ის აზრი გამოსთქვა, რომ ბეთალეები ღამე ჰსინჯავენ ხორცს სანთლის სინათლეზედ და ვერას შეატყობენ, ხორცი სნეულის საქონლისა, თუ არა, და ამიტომ სთხოვენ ბ. ნი. გუბერნატორს, უბრძანეთ ქალაქის გამგეობას, რომ საყასბოში საქონელი იმ დროს დაჰკლან ხოლმე, რომ ბეთალეებს შეეძლოთ დღის სინათლეზედ გასინჯონ დაკლულ საქონლის ხორციო.

* მთავრობას განუზრახავს იმ მსხვილ და წვრილ ფებ საქონლის პატრონებს, რომელნიც ინახავენ საქონელს არა სამუშაოდ, არამედ გასასყიდად, საგანგებო ხარჯი შეაწეროს და ამისა გამო შინაგან საქმეთა სამინისტრო ტფლისის გუბერნატორს შეეკითხა, თქვენი აზრი გვაცოდინეთ ამის შესახებო.

* ამიერ-კავკასიაში დასაარსებელ სასოფლო-სამეურნეო სასწავლებლის პროექტის განხილვა მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა

სამინისტრომ გადასდო იმ დრომდის, ვიდრე გამოჩვეულ არ იქნება ის, ხაზინა მიიღებს თუ არა თავ. ერისთავის მიერ შეწირულ ოდისის მამულს.

* ტფლისის ოლქის სასამართლოს საგანგებო საქმეთა გამოძიებლად ნამყოფმა ბ. ნი. დანილოვმა დაამთავრა გამოძიება ტფლისის ფოსტა-ტელეგრაფის კანტორიდან 50,000 მან. მოპარვის საქმისა და გადასცა ბრალმდებელს.

* „ტფლისის არტიტა საზოგადოების“ საბჭოს განსახილველად წარედგინა სამი პროექტი იმ შენობისა, რომელიც უნდა აგებულ იქნას გენერალ-მაიორის ნ. ი. რეიტერისაგან შეძენილ მამულზედ. პროექტები წარედგინა ბ. ნი. შიშკოვიჩისა, შტერნისა და ტატიშჩევისა. საუკეთესო პროექტის შემადგენელს ჯილდოდ მიეცემა 1,000 მან.

* ჩვენს გაზეთში მოხსენებული იყო, რომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა იჯარით გასცეს 199 ნაქერი სასახლეკარო მიწა ნაძალადევის მახლობლად. ქალაქის გამგეობას მიუღია 1,000 კაცისაგან თხოვნა-იჯარით მოგვეცათ ადგილიო. ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, რაკი ამდენი მოხონგელია, ჯერ უნდა ტფლისის მკვიდრი მცხოვრებნი დავაკმაყოფილოთო და მერე რაც გადაჩრება, სხვებს მივცეთო.

ვერაფერი განკარგულბა! ქალაქს იქვე დიდძალი მიწები აქვს სრულებით უსარგებლო ქალაქისათვის. მიწა იმდენია, რომ 1000-კი არა, 2,000 კაცსაც იყვია. კარგი იქნება, რომ ეს ადგილებიც გასცეს იჯარით.

* რუსეთის საიმპერატორო საგოგრაფიო საზოგადოება ამ ზაფხულს ერთს თავის საპატოო წევრსა ჰგზავნის კავკასიაში იალბუზის მთა-ყინულების გამოსაკვლევად.

* გზ. „კავ.“-ს სიტყვით, ამ დღეებში ცალკე კომისიამ დაათვალიერა დუშეთის საყასბო. კომისიამ ეს საყასბო უფარგისად სცნო და დაადგინა, აღკრძალოს იქ საქონლის დაკვლა იმ დრომდე, ვიდრე საყასბო შესაფერს გეგმაზედ არ იქნება აგებული.

* გზ. „კასპის“ სიტყვით, ბუ-

ხარის ემირმა ბაქოში ყოფნის დროს უბოძა ამ გაზეთის რედაქტორს ა. მ. თოფჩიბაშევს ოქროს ვარსკვლავი მე-3 ხარისხისა.

* გზ. „Черн. Вѣст.“ სწერს, რომ დაბა ოჩაჩირეში ამ ცოტახანს ორი გავარდნილი დამნაშავე შეიპყრესო, რომლებიც თავისის ნებით გამოცხადდნენო. ერთი ამ გაქცეულთაგანი აფხაზია, სოფ. ტკვარჩელის მცხოვრებელი გლეხი კესკინჯი ბლაგბაია, რომელსაც ახალგაზდა თავის ასტ. ანჩაბაძის მოკვლა ჰპარლდებო. მკვლელობის შემდეგ 1894 წელს ბლაგბაია დაიბოლა. როგორც აღმოჩნდა, დღემდის ბლაგბაია აფხეთში ყოფილა. მეორე გაქცეული — ცნობილი თავადი ჩაგუ ძეგუზიაა, რომელიც 1896 წელს საპატრიოტულ განაქცა. თავადმა ძეგუზიამ შეუთვალა ბოქაულს სოფ. თხილიდან, რომ გემორჩილები, მაგრამ ავად ვარ და მე თითონ ვერ მოვალო. იგი მართლა ავად ყოფილიყო ქარებით.

* გზ. „Пет. Вѣд.“ სწერს: მიწათ-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროს ცნობები მოაუვიდა იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ურწყავ ადგილებში გაშენებულია ვარდმა მშენებელად იხარაო.

* დ. სხნი. ხონის მიდამოებში რაღაც ერთგვარი საქონლის ავადმყოფობა გაჩნდა, რომელსაც სოფლები კირს ეძახიან. ამ სენმა ბევრი საქონელი იმსხვერპლა. იმედია, ადგილობრივი მთავრობა შესაფერს ყურადღებას მიაქცივს და ამ სენის წინააღმდეგ ილონებს რასმე.

* სენაგის მასრა. როგორც მოგვხსენებთ, ქურდობა ყოველთვის იყო ჩვენში, მაგრამ ისეთი ხშირი არასოდეს არ ყოფილა, როგორც მაშინ, როდესაც განთქმული ყაჩაღები შელია, მხეიძე და ჯიქია და თარეშობდნენ. წასულის წლის მაისის პირველ რიცხვებში ნაქალაქევის ბოქაულმა ბ. ბესარიონ დავითის ძე ქავთარაძემ დაამარცხა ერთი ამ გამოჩენილ ყაჩაღთაგანი მხეიძე. შემდეგ აბაშის უბნის ბოქაულმა ბ. ვლადიმერ სიმონის ძე აბაშიძემ სიცოცხლე მოუსპო უმძიმვარესს ყაჩაღს ჯიქიას. ამის შემდეგ შესწყდა

ქეა-ქუხილი ავაზაკებისა. ამ დღიდან იგრძნეს შეგება მცხოვრებლებმა, მაგრამ დიდის ხნობით არა, ამ ავაზაკების ამხანაგებმა გაზაფხულიდან ხელ-ახლად დაიწყეს ნავარდობა. ნაქალაქევის უბანში მოიპარეს გლეხის ორი ცხენი, ბეთლემში — თ. დალიანის ერთი ცხენი, გეგეთში — ჯავახიძის ერთი ცხენი, ძველ-სენაკში — ორი ცხენი გლეხისა (ეს ცხენი შუაკაცთა წყალობით დაუბრუნეს პატრონს). აბაშის უბანში მოიპარეს ს. აბაშის ერთი გლეხის უღელი ხარი, ნოსირში გლეხს ვუბრეშვილს სახლიდან გამოუყვანეს ხარები, მაგრამ პატრონი ისევ გაადგინა ხელიდან; 14 ივლისს კიდევ ნოსირში აბნაურს კიხორიას მოპარეს ერთი ძროხა, როცა პატრონი შინ არ იყო. თუ სასტიკი საშუალებანი არ მიიღეს ეხლავ ვისგანაც ჯერ არს, თქვენი მტერი, რაც ჯოჯოხეთის ცეცხლი ჩვენ მოგველის.

* ტყვებულის შტოზედ, ქუთაისიდან 19 ვერსის მანძილზედ, მუშა ლუკა ქათამაძე, როდესაც პატარა ვაგონით ცემენტით სავსე ბოქა გადაჰქონდა ხიდზედ, გადავარდა ხიდიდან და მარჯვენა გვერდი დაუშვა. დაშვებული ტფლისის რკინის გზის საავადმყოფოში გაგზავნეს.

შირილი მხეიძე-ქახეთიდან.

სოფ. კარდენასისა, ბაკურცისისა და გოლაკის მცხოვრებლებმა თთ. კანჩაძეებმა განზრახეს ერთი სამაჯალითა და საშვილიაშვილო საქმე. — თავანთი „გაბაღის“ ტყის შეკრება.

„გაბაღი“, სოფრით რამდენიმე ათა ათასი დასეკტანს, ეგუთნის კანჩაძეებს და შეადგენს კერძოდ იმათთვისა და საზოგადოდ კახეთისათვის დიდს განძს, მით უფრო იშვიათი მოკვლეა, რომ ამოდენა მამულა შეადგენს თავადების საკუთრებას კახეთში. ეს ამოდენა ტყე, რომელსაც მფლობელებს სამოცზედ მეტი კომლი თავადი, აქამდის გაუყოფილა და, ვინ იცის, ვადკო რამდენი ხანი დაჩრება, გაუყოფილა.

ეგულას კარგად მოკესკება, რა მქედია ჩვენში გაუყოფილს მამულათ საზრებლობა. კანძა არ იცის, სად არის იმისა საკუთრება. სწორად მოხდება, რომ ერთსა და იმავე ადგილას დაეპატრონება რამდენიმე კაცი და ეგულა თავისთვისა ჩემულბას; ან ვადკო ერთი კაცის დასემებულს ადგილს ეპატრონება მეორე და ანთქებს; ან მოქმედებულს

და კარგს ადგილს დაეპატრონება კანძა გინძე და იქ არავის არ უშეებს. ამისთანს უსწორ-მასწორად ტყეებს მაჭყუება სოფელ შუდღი, ჩხუბი, კანცისკელა და ციმბირი. ამგვარად, ტყის გაუყოფლობა ქართულს ხალხს ორ ნაირს ზარალს აძლევს: მოწინააღმდეგეთაგანი ნახევარი კვება, ნახევარი ციმბირს მიდის... ამიტომ არის სასურველი, რომ მთავრობამ უურადლება მიაქციოს, რაც შეიძლება მალე გაჭულეს მამულები და თავიდან ააცილოს ხალხს ზარალი.

სწორედ ასეთს მოკვლენას წარმოადგენს კანჩაძეების „გაბაღი“. ამ უსწორ-მასწორის ტყით საზრებლობს რამდენიმე კაცი, სხვები კი გრძობათ კვას სარგებლობენ. ვისაც მომეტებული ნაწილი ეგუთნის, ეგულა იმას ქანტრობს, ნეტავი როგორმე გაგვეგოს ეს ტყე და გაყოფათ ჩვენი საკუთრება რა არისა, იქნება მაშინ მაინც კისარებულთ რამე; თორემ ესაა რამ წაიდათ და საზრებლობა დაეწყოთ, რამე შეეღუპებას წააწყდებითო.

მართლაცა და, ვინ მოსთვლის რამდენი კაცი უმისკრებლას „გაბაღის“ და რამდენი გაუტოვრდება ციკს ქვეყნებში. ესეა, როგორც თავშად მოკესკინათ, კანჩაძეებმა დაადგინეს ნოტარუსის წესით შეკრანს ტყე, თათო სოფელადგან ცალ-ცალკე შეკვლეს დაუჭერენ და შემოსულს ფულს განაწილებენ კომლეურად და ანა მოწინააღმდეგობისამებრ, რადგანაც კერ გამოუტყვევიათ ვერაფრითა უმთავრობად, ვის რა წილი ერკება. თათო კომდს ნება აქვს აიწიოს თორმეტი დასეკტანს მამული და ის იხმაროს თავის საზრებლობისათვის, მხოლოდ გაუდგის ნება-კი არ ექმნება.

მაგრამ, როგორც ეგულა ახალს საქმეში, აქედ უჭირთ ერთმანეთში შეთანხმება. ზოგი ამბობს, რომ სოფლებს შეკვრად საკრთოდ ტყის ფული, როგორც ფოსტისა, და ტყე იმათთვის ღია იყოსო, მაგალ: ს. კარდენასის შეკვრათ 1,200 თუმანი, ბაკურცისს ამდენი და გოლაკს ვადკო ამდენიო. ზოგი ამბობს ვადკო, რომ ფული კომლეურად შეკვრათო. მაგრამ პირველიცა და მეორე წესიც უსერხულია როგორც თავადებისა, აგრადვე გლეხებისათვის. გლეხებისათვის იმატომ, რომ ისინი თავის დღეში კერ გადისა ამოდენა თანხას, კერც მოთავსებან ერთმანეთში და კერც იკისრებენ ამოდენა იჯარას; კერ 100 თუმანი ფოსტის ფული კერ კარდენად-

ფელეტონი

ცნობრება და მხედრობა ჩვენის დროის სწავლული ემაწილები.

კეთილი, მოსიყვარული გული და განათლებული გონება, — აი ორი რამ, ფრიად საჭირო ყოველის მართებულის აღმზარანათვის, აი, ორი პირობა, რომ კაცი აღმზარან იქცეს. საზოგადო მოღვაწეობას ხომ სულაც ნუ მოსთხოვთ იმას; ვისაც ერთ ერთი ამ მაღალთაგანი არ ახლ ეს. კეთილის გულს კაცს აძლევს ოჯახობრივი პირობები უპირველესად და შემდეგ აღზრდა-განათლება, ეროვნულ საფუძველზედ მოწყობილი. ამიტომ ის მშობლები, რომელნიც სიყვარულითა და აღვრით არ ავსებ-

ბენ ბავშვის ცხოვრებას, ამ თავითვე უმანკო გულში ღვარძლს სთესენ. გარნა სიყვარული უნდა ვითარდებოდეს, იწმინდებოდეს, სვეტადებოდეს. დაწყებული იქიდან, რომ პატარას, როგორც პირუტყვს, როგორც ლეკვს, კნუტს უყვარს ის, ვინცა შობა და ძუძუს აწოვებს, ეს პირუტყვული და პირკანდელი სიყვარული უნდა გაფართოვდეს და გაგანიერდეს. ბავშვს უნდა შეუყვარდეს თავისი ნათესავები, ერთ სოფელდნი და ბოლოს თანამემამულენი. გრძობა სიყვარულისა იღვიძებს აღმზარანში სიყვარულისავე ზეგავლენით და არა ჩაგონებით. სიყვარულის სწავლა რომ შეიძლებოდეს, ამის მეტი რა და უნდადთ ნაფიც მორალისტებს: გამოსცემდნენ აუარებელ სახელმძღვანელოებს სიყვარულისას და სხვა. უმკველია ჩვენს ხელთ არის ვადვიდება მოზარდ თაობაში კეთილის სურვილებისა, კეთილთა მისწრაფებათა,

აღზრდა მისის კეთილისა და მოსიყვარული გულისა. ამ გზით სინტერესოა ვიკითხოთ, ვინ ჩაუღო ოქროს ესოდენის თავგანწირულობით აღსავსე, ესოდენის სვეტაკის სიყვარულის მქონე გული. მშობლებმა, ოჯახმა, დედამ და ბებამ, — მოიგებთ. ოქრომ ისე დაასრულა გიმნაზია, რომ დედის კალთას არ მოშორებია. ოქრო ყველას უყვარდა ოჯახში და ოქრომაც ყველა იგინი შეიყვარა. განათლებამ მხოლოდ ცოტად გაუფართოვა შინაარსი ცნებისა „ოჯახი“. პატარა ოქროსთვის თუ ოჯახი ბაბუასა და დედ-მამისაგან შესდგებოდა, დიდის ოქროსთვის „ოჯახი“ წარმოადგენდა საქართველოს. ოქროს შესახებ ჩვენ ერთხელ კიდევ ვიტყვი, რომ ის ცოცხალი არსება არ არის. ის არის კარნიკატურა, შეთხუთი ან. ერისთავის მიერ. იმ კეთილისა და პატიოსნებით აღსავსე გულით, იმ განათლებით, რომელიც ოქრომ

მიიღო, იგი უნდა დამდგარიყო ქემშარტი საზოგადო და დიდად სასარგებლო მოღვაწე, თუ ეს ასე არ მოხდა, ეს სასებთ ჩვენის ავტორის ბრალია, რომელსაც სულაც არა აქვს გათვალისწინებული, თუ რის გაკეთება ძალ-უძს ჩვენში ოქროსთანა კაცს.

*** რასაკვირველია, არავინ იფიქრებს, რომ ჩვენ რითიმე ვამცირებთ ან. ერისთავის ნიქს. ავტორის ნიქურების მკვიდრად დასადგენად კმარან უკვლავი ტიპები „ქენინა მაკინისი“ და „ქეთინისი“. ჩვენ მხოლოდ გულმტკიცწიულობით აღვნიშნავთ, რომ ოქრო ვერ გამოდგა არა თუ ტიპად, არამედ უბრალო ცოცხალ აღმზარანად. არ შეგვიძლიან აქვე არ აღვნიშნოთ ერთი ზოგადი ნაკლიც ან. ერისთავის ნიქისა. ეს არის ნაკლებობა „ზომიერებისა“ აღწერის, ცხოვრების წვერილმანების გარდაშლის დროს.

ავტორი ხშირად ივიწყებს მთავარ ძარღვს მოთხრობისას და მოგიყვებთ ისეთ წვერილმანების აღწერას, რომელიც იოტის ტროსაც არასაჰმატებენ მთავარს მოქმედებას და სულ უბრალოდ, უაზროდ აწვრილებს მკითხველის გულს და უმნიშვნელოდ და უაზროდ ავრცელებს და აღიდებს მოთხრობას. ოსტატმა და გამოცდილმა ბელეტრისტმა რომ აიღოს „მოლიბულ გზაზედ“, ისე კობტად შეამოკლებდა, შეპკრეტდა უმნიშვნელო წვერილმანებს, რომ წიგნში, 412 გვერდის მაგიერ, მხოლოდ 112 დარჩენილიყო და მოთხრობას-კი ნემსის ოდენა ღირსებაც არ მოჰკლებოდა. თვით ან. ერისთავისას აქვს ის დიდი ნიქი მხატვრობისა, რომ ორჯელ-სამჯერ გაუსვას კალამი და სურათი მხად იყოს. მაგრამ არა, ამას არა სჯერდება, ის დაადგება ხოლმე ხატვას და იქამდის ჰმუშაობს, ვიდრე ახალუხის

*) იხ. „ივერია“, № 162.

ებში დაამტკიცა ახლად შემუშავებული პროგრამა კავშირთა კორპორაციის სასწავლო საგნებისა.

— მოსკოვის უნივერსიტეტის სამკურნალო ფაკულტეტზედ შესვლის სურვილი იმდენმა განაცხადა თურმე, რომ უნივერსიტეტის მთავრობამ ამ დღეებში მოსკო სამკურნალო ფაკულტეტზედ შესვლის მსურველთა თხოვნების მიღება.

— მიწათმოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტროში ლაპარაკი აღძრული იმის შესახებ, რომ ყოველ დიდ ქალაქში დაარსებულ იქნას საქონლო სადგურები გასასყიდად გამოტანილ სანოვაგის სიაკარგის შესამოწმებლად.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განიზრახა გადათავალიეროს 1885 წელს გამოცემული ნორმალური წესდება სასოფლო ბანკებისა და ხელახლად შეიმუშავოს ნორმალური წესდება ამ ბანკებისა. ამ ახალი საინისტრომ წინადადება მისცა გუბერნატორებს, რომ საგუბერნიო საკრებულოებში მოილაპარაკეთ სასოფლო ბანკების მოქმედების გაფართოებისა და სხვა მიმართულების მიცემის შესახებ, 1895 წ. 1 ივნისს გამოცემულ დებულების თანახმად, და კრებულზედ დადგინდეს განაჩენის ძალით შეიმუშავეთ პროექტი ნორმალური წესდებისა. ამასთანავე სამინისტრო თხოულობს, რომ წესდებაში ჯერ ერთი, ნათლად იყოს აღნიშნულ პირობანი, რომელთა ძალითაც უნდა გაიცეს გრძელ ვადიანი სესხი და მიღებულ იქნას დასაჯარავებელი საგნები და მეორედ ის, თუ რომელი საგნები შეიძლება დაიგირავოს ბანკმა და რა წესრიგით.

— შინაგან საქმეთა სამინისტრომ განმარტა, რომ სავაჭრო დებუტაციითა დაარსება არ არის სავალდებულო იმ ქალაქებისათვის, სადაც აგრე რიგად არ არის გავრცელებული ვაჭრობა-მრეწველობა. იმის გამოკვევა, თუ რომელ ქალაქში უნდა დაარსდეს სავაჭრო დებუტაცია, სრულიად დამოკიდებულია ადგილობრივის სახანო პალატის მმართველისაგანაო.

— ჩენტოხოვის მაზრის სოფ. მოკრეში შემდეგი ამბავი მოხდა. ადგილობრივ მცხოვრებელ გლეხის ხუთის წლის ბავშვი იატაკზედ იჯდა თურმე და რაღაცს შეეკცოდა. უცებ ოთახში ხმა შესულა. ბავშვს შეშინებია, დაუკვირია და გული წასვლია. კვილზედ შევარდნილა დედა, აუყვანია ბავშვი ხელში და ბევრს სცდილა, რომ ბავშვი მოებრუნებინა, მაგრამ ამაოდ. ბავშვი დედის ხელშივე გარდაცვლილა. რამდენისამე დღის შემდეგ მიცვალებული გაუსვენებიათ სასაფლაოზედ ჩაუშვიათ თუ არა კუბო საფლავში, ბავშვის კვილის ხმა შესმენია ხალხს. ყველანი შემკრთლან, აუხდათ კუბოსათვის თავი და სრულიად ჯანმრთელი ყნაწვილი ამოუყვანიათ.

უცხოეთი

ესპანია და უმართავი შტატები. ამ ჟამად ყველაზედ მეტად, როგორც შეერთებულს შტატებს, აგრეთვე ესპანიის მთავრობას ფილიპეს

კუნძულები აფიქრიანებენ. თუმცა სამხედრო მოლაპარაკება მეტროპოლიტანსა და კუნძულებს შორის დაიწყო, მაგრამ ამ კუნძულების გამო ეს მოლაპარაკება მალე არ დასრულდება: ფილიპეს კუნძულების მთავრობის არც ამერიკელებს და არც ესპანელებს არ უგდებენ ყურს. მთავრობის ესპანელებთან ხომ დიდი ხანია მწყურალოდ არიან, მაგრამ ამ ბოლოს დროს ამერიკელებსაც ვეღარ მოურიგდნენ. ზოგი გაზეთი იმასაც ამბობს, რომ შეიძლება ამერიკის ჯარა და აგვიწილოს მეომრებს შორის ბრძოლა. ასე თუ ისე, ამერიკელები დღეს სულ სხვა თვლით უყურებენ მთავრობებს და ჯარსაც კი ამზადებენ იმათთან საბრძოლველად. ამერიკელმა იუწყებელმა, რომ გენერალმა მერიტმა შეუთვალა მთავრობას მეთავრობებთან საბრძოლველად 50,000 ჯარის-კაცია საჭიროო. მეორეს მხრით, აგვიწილოს ბრძანება ვასცა, ამერიკის ჯარს საქონელსა და სურსათს ნუ მისცემთო. ამერიკელებმა ასეთს განკარგულებას ყურადღება არ მიაქციეს და ადგილობრივ მცხოვრებლებს საქონელი და სურსათი მიიწვამოარათეს. ამის გამო ამერიკელებსა და მეთავრობებს შორის კონაღამ შეტაკება მოხდა. ამერიკის ჯარი, გენერალის გრენას უფროსობით, ამ ჟამად მეთავრობეთა ბანაკის მახლობლად სდგას და იმათ მოქმედებას გაფაციკვით ადევნებს თვალ-ყურს. გაზ. „Daily Chronicle“ სწერს: „ესპანეთის მთავრობას მანილის და საზოგადოდ ფილიპეს კუნძულების საქმე უფრო აფიქრიანებს, ვიდრე ის, მიიღებს თუ არა ესპანია ამერიკის პირობებს. პრეზიდენტი და კაბინეტის წევრები ჰფიქრობენ, რომ შეერთებულ შტატებს მეთავრობებთან ბრძოლა მოუხდებათ. თუ ესპანიამ შეიწყარა ზავის ის პირობები, რომელიც ამერიკამ შეუთვალა, შეიძლება მეტად უცნაურს ამბავს მოვესწროთ, სახელდობრ იმას, რომ ამერიკამ და ესპანიამ ერთად ბრძოლა დაუწყონ მეთავრობებს. საიდუმლო აღარ არის ის, რომ აგვიწილოს გადაწყვიტა ფილიპეს კუნძულები აღარავის დაანებოს და დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოაცხადოს.“

— გაზ. „Berl. Tagebl.“-ი იუწყება, რომ რომის პაპის წარმომადგენელმა მარტინელიმ ვატიკანიდან გაგზავნილი დეპეშა გარდაცვა ამერიკის მთავრობასაო. დეპეშაში ნათქვამია, რომ მეთავრობის ბანილას დღე-დღეზედ დაიპყრობენ და იქაურ ღვდლებს ამოჭობავენო. ამ დეპეშის გამო ამერიკის მთავრობას უცნობებია აღმირალ დევეისა და გენერალ მერიტისათვის, ყოველი ღონე იღონეთ, რომ მეთავრობეთ არ შევიწროვონ და არაფერი ვნება არ მიიყენონ სამღვდლოებასაო.

— ვაშინგტონიდან დეპეშით იუწყებიან, რომ ჰავანაში ესპანიის თავისუფალმა მეომრებმა კუბის გენერალ-გუბერნატორის მარშალის ბლანკოს წინააღმდეგ რამდენჯერმე დემონსტრაცია მოახდინესო. მეომარნი ქუჩა-ქუჩა დადიოდნენ და მარშალ ბლანკოს ცუდის სიტყვებით იხსენიებდნენ თურმე. მეომრებს ადგი-

ლობრივი მცხოვრებელიც მიჰმხრობიან, ასე რომ ეს დემონსტრაცია ნამდვილ აჯანყებად გარდაქცეულა. მშვიდობიანობის აღსადგენად გენერალ ბლანკოს ჯარი დაუბარებია.

გერმანიის. გერმანიის ჟურნალ-გაზეთები დიდს ქებით იხსენიებენ აწ განსვენებულ თავად ბისმარკს. ბევრი გაზეთი თავად ბისმარკს გლადსტონზედ მალა აყენებს. ზოგი ამბობს, რომ ბისმარკი იულიოს ცეზარზედ უფრო შესანიშნავი კაცი იყოო, ზოგი გაზეთი კიდევ გაიძახის რომ ბისმარკმა პრუსიისათვის ის გააკეთა, რაც გააკეთა კრომველმა — ინგლისისათვის, რიშელიმ — საფრანგეთისათვის და პეტრე დიდმა — რუსეთისათვისაო. არ აქებენ და არ აღივებენ თავად ბისმარკს და იმის მოღვაწეობას მხოლოდ სოციალისტთა ჟურნალ-გაზეთები. პირ-იქით ეს გაზეთები ცუდად იხსენიებენ და ჰკიცხვენ კიდევ რკინის კანცლერს. მათის აზრით, ბისმარკი ძალ-მომრეობის წარმომადგენელი იყო. მან გააბატონა კაპიტალი და შექმნა „შეიარაღებული ზავი“. როგორც პოლიტიკოსმა, ბისმარკმა ევროპას ბარბაროსობის ხანა დაუბრუნაო. ცეცხლითა და მახვილით სცილობდა ყველაფრის გარდაწყვეტას და მშვიდობიანობის დამყარებასაო. არ აქებს ბისმარკს აგრეთვე სხვა ქვეყნის ჟურნალ-გაზეთების უმრავლესობაც. „Temps“-ი, მაგალითად, სწერს: „დიდი დღე არა აქვს ისეთს საქმეს, რომელიც ძალ-მომრეობაზედა აგებული. ბისმარკმა, მართალია, გერმანია გააერთიანა, გარეგნობით გაძლიერა, ევროპის დიდს სახელმწიფოებს გვერდში ამოუყენა, მაგრამ საქმე ის არის — დიდ ხანს იქმნება ამ მდგომარეობაში გერმანია, თუ არა? გერმანიის ძლიერება და მყარებულია ჯარზედ, სახელმწიფოს სხვა და სხვა ნაწილებს აკავშირებს იგივე ჯარი; ელზას-ლორენი ჯარისავე შემწეობით უჭირავს გერმანიას, მაგრამ საკითხი ის არის, როდემდის გასტანს ჯარის ბატონობა“. „Echo de Paris“-ი ამბობს: „თუმცა ბისმარკი დიდი გენიოსი იყო, მაგრამ, ყოლს ექვს გარეშეა, რომ მან ევროპა ისეთს ეკლიანს გზაზედ დააყენა, საიდანაც გამოვლია ძალიან გაუჭირდება. ევროპასა და განსაკუთრებით გერმანიას ბისმარკმა ბევრი სავალალო და ძნელი საქმე გაუჭინაო.“ „Element“-ი სწერს: „დეე, ნემცებმა აქონ და აღიღონ თავიანთი რკინის კანცლერი, ჩვენ-კი ვიტყვი, რომ ყოველს იმის საქმეს ვერაგობის და ძალ მომრეობის ბეჭედი ახის“.

დამაკვირდი

ჩვენა სიცოცხლე. ჩვენი რაობა... არის მასსარაობა. გიორგი ერისთავი. * * * რამქვს უნდას მოხდა იყოფად, საქმარს თვისა მზად იყვნენ. ნეტარი იოლიტე (X. ს.) * * * ტბაღნი და დაწნარბუღნი სუღნი აღვიჯად გზასა ზეცასას გუგენ. წმ. ეფთვიე.

შინადა-გაზეთებისა

(აუკრებელი ამბები)

გერმანიულს ენაზედ დაიბეჭდა პატარა წიგნი, სათაურით „ოსმალეთი ჩვენს დროში და 40 წლის წინად“. ამ წიგნის ავტორია ბუდაპეშტის უნივერსიტეტის პროფესორი და ცნობილი მოგზაური ა. ვამბერი.

სხვათა შორის ბანი ვამბერი სწერს: „ყველა ის, რაც ჩვენ გვესმის ოსმალეთის დამბობისა და იმის შესახებ, რომ შეუძლებელია ოსმალეთში რეფორმების შემოღება, ყველა ეს ტყუილი და უსაფუძვლო ლაპარაკია. ამ ჟამად ოსმალეთის ყველა ქალაქებსა და დაბეჭდვით არსებობს მოსამზადებელი და უმაღლესი სასწავლებლები, რომელთა პროგრამა მეტად რთულია. 8—12 წლის ბავშვები სწავლობენ ენა ისეთს საგნებს, რომლებიც სახელმწიფო მოღვაწეებს არა სცოდნიათ უწინ, მაგალითად, გეოგრაფიას, ისტორიას, ფიზიკას, ევროპულს ენებსა და სხვ. 40 წლის წინად ოსმალეთის ვერც ერთს კანონში ვერა ჰქონდა ცოდნის, რომ ფრანგული ლაპარაკი სცოდნო. ესე კი უმაღლეს და საშუალო წოდების ოსმალებმა მშვენივრად იციან ფრანგული, გერმანული და ინგლისური. ამ მხრივ ოსმალებმა ევროპელებსაც კი აჯობეს.“

კონსტანტინოპოლში არის უმაღლესი სამეურნეო სასწავლებლები. დედათა სასწავლებელიც ბევრია. არის აგრეთვე საგანგებო სახელმწიფო სასწავლებელი ქალთათვის.

ქალაქდელი ოსტერატურა საქმოდ განვიტარებულა. ოსმალეთში მრავალი მოთხოვნა იწერება და ითარგმნება უცხო ენებიდან.

მიუხედავად ამისა, ბანი ვამბერის აზრით, ოსმალეთის მდგომარეობა ვერაფრად სანუგეშაა შემდეგის მიხედვისა გამო:

ნამდვილ ოსმალეთთა რიცხვი ოსმალეთში ძლიერ ცოტაა, სულ 2 მილიონი.

ევროპაში მდებარე ოსმალეთში სცოვრობენ, ბოსნიელნი, ჰერცეგოვინელნი, ალბანელნი და სხვა. ნამდვილ ოსმალეთთა რიცხვი კი ძლიერ მცირეა. ასევე აზიაში მდებარე ოსმალეთში, აქ კიდევ სცოვრობენ გამაჰმადიანებულნი, ქურთები, სომხები, ბერძნები, არაბნი, სირიელნი, ქალდეელნი და სხვ. მათი რიცხვი ერთი ორად მეტია ნამდვილ ოსმალელებზედ.

დასასრულ ბანი ვამბერი სწერს: „იმ ქვეყანაში, სადაც მთავრობას არა აქვს ეტნოგრაფიული ნიადაგი, მთავრობა ყოველთვის დიდს გაჭირვებაში და საფრთხეში იქმნება.“

საისტორიო და საბიბლიოგრაფიული წიგნი

(წერილი: 56)

(დასასრული *)

მესამე წერილის ჰქვიან (გვ. 593): ცხოვრება და მოქალაქობა: წმიდისა და საკრებულ მოქმედისა: მამისა ჩუენისა: ნიკოლაოს: მთავრ ენისკოპოზისა: მირონ ქალაქისა: რომელსა: ქუეყანასა: ლუკიისასა. მთარგმნელი (გვ. 663):

წმიდა ნიკოლაოს მეზ მეყვე წინაშე უფლისა: ლოცვა ყავთ გლახიკისა და ცოდვილისა ეფთვესთვს: წმიდანო და სთნონო ქრისტენო ესე სიტყუანი ზემოთ წერილინი სიმდაბლითა სავსენი: თვთ მამისა ეფთვესთვს: ვითარცა ნუსხასა ეწერა, საიღვდელად მისდა ჩუენცა ვგრეთვე აღვწერეთ: აწ ვინ აღმოვიტხვიდეთ წმიდასა ანას წიგნსა ლოცვა ყავთ: წმიდისა მამისა იფონესთვს: და უსხულოთა მიმსაგვესთვლისა: ნეტარისა მამისა ეფთვესთვს: რომელსა გვთარგმნა წიგნი ესე და სხვა მრავალი წიგნები ბერძულისაგან ქართულად და განაწილა და განაწილა ქართველთა ენას: ქრისტე სრულყვე სრბამ მისი: და წყალობა შენი მის ზედა.

წმიდა ეფთვიემე თავის თარგმანებით საუკუნო ძეგლი დაუდგა ქართველებს. ამ დიდებულ მამულის შვილის მოღვაწეობასა და ცხოვრებას ცალკე გამოცემით.

მ. ჯანაშვილი

*) იხ. „ივერია“ № 162.

პარიზი. რესპუბლიკის ბრალმდებელი, რომელსაც ბერტილიუსმა გადასცა საბუთის ქალაქები ესტერგაზისა და პოეს საქმის გამო, იმზარს დაადგა, რომ არავითარი საბუთი არ არის ისინი სამართალში იქმნენ მიცემული რესპუბლიკის ბრალმდებელმა დაუბრუნა ქალაქები ბერტილიუსს, რომელიც სალამოზედ დაადგენს თავის გადაწყვეტილებას.

პარიზი. ბერტილიუსმა ხელი მოაწერა იმ გადაწყვეტილებას, რომლის ძალითაც ესტერგაზი და პოეს საბრალმდებლო პალატის წინაშე უნდა წარსდგნენ. ესტერგაზისა და პოეს სიყალბას ჩადენის ბრალსა სდებს. რადგანაც ეს გარდაწყვეტილება ეწინააღმდეგება რესპუბლიკის ბრალმდებლის აზრს, ამიტომ შესაძლებელია ბრალმდებელისა და ბერტილიუსის შორის შეტაკება მოხდეს.

ლონდონი. საზოგადოებათა პალატა. აშმიდ ბარტლემე იკითხა: მართალია თუ არა ის ხმა, რომ რუსეთმა აბაშეთის ნეგუსისაგან შავს ზღვაზედ რახეტი მიიღო საზღვარი სადგურის გასამართავად. კერზონმა მიუგო, რომ მაგისტანამ ამბავი არ შეგვიტყვია და არ ვიცით აბაშეთის ნეგუსს შეუძლიან თუ არა რახეტი სხვის დაუთმოს.

მაღრიდი. იმ კაცთა უმეტესობა, ვისთანაც სავსტას მოლაპარაკება ჰქონდა, ის აზრი წარმოთქვა, რომ ზავის შესახებ მოლაპარაკების საწარმოებლად საჭიროა ახალი კაბინეტი იქმნას დანიშნულიო. სამინისტროს გაზეთი „Klobo“ სწერს, რომ საჭიროა მოწვეული იქმნას კორტესები ზავის შესახებ მოლაპარაკების დასამტკიცებლად.

ალექსანდრია. როგორც იმენიდან იუწყებიან, საქმე მეტად გამწვავებულა. არაბნი მოსვენებას არ აძლევენ ოსმალეებს. პორტა კარგა ბლომა ჯარსა ჰგზავნის: მაისიდგან არაბეთში უკვე 10,3000 კაცი გაისტუმრა. არეულობა უფრო დიდია, ვიდრე წინად ეკონათ.

ცეზინი. ბოლგარიის მთავარი დაესწრა ჯარის აღლუმს, რომლის შემდეგაც სამხედრო სადილი იქმნა გამართული. მთავარმა ნიკოლოზმა რუსეთის იმპერატორის სადღეგრძელო დალია, ხოლო ბოლგარიის მთავარმა ჩეროგორის მთავრის და იმის ჯარის სადღეგრძელო.

ნიუ-იორკი. გენერალმა ვილსონმა გუშინ პორტო რიკოში კოამისი დაიპყრა.

ვაშინგტონი. მორიგება მოხდა. ის ოქმი, რომელიც ზავის პირობებს შეიცავს, შედგენილ იქმნა.

პარიზი. სააპელაციო სასამართლომ განიხილა ზოლას სააპელაციო საჩივარი 9 ივლისს დადგენილ გადაწყვეტილებას წინააღმდეგ იმ ცილის წამების შესახებ, რომელსაც ზოლას ექსპერტები უჩოდნენ. ზოლა საქმის გარჩევას არ დასწრებია. სასამართლომ გარდაუწყვიტა ერთის თვით დაპატიმრება და 2,000 ფრანკის ჯარიმის გარდახდა; აგრეთვე 10,000 ფრანკის გარდახდა თითო მომჩივარის სასარგებლოდ.